# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 104

დამატების № 20

კვირა, 12 ოქტომბერი 1914 წ.



ლიუქსემბურგის დიდი ჰერცოგინია, მარიამ-ადელაიდა; (გერმანელებმა მისი საჰერცოგო დაიპყრეს).



დიდი მთავარი ოლეგ კონსტანტინეს ძე (გარდაიცვალა ომში მიღებულ ჭრილობებისაგან).



მარკიზ დი-სან-ჯულიანო, იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი (ამ დღეებში გარდაიცვალა).



შტ.-როტ. ვლადიმერ მდივანი (დაჭრილია; პეტროგრადის ევგენიევის საზოგადოების საავადმყოფოში წევს).



ფლიგ.-ადიუტ. თავ. გ. ნ. ერის-თავი (დაჭრილია).



პორუჩ. იუ. ახვლედიანი. (დაჭრილია).



პორუჩ. ვ. ლ სიხარულიძე (დაჭრილია).



შტ.-კაპ. თავ. გ ზ. ჯაფარიძე (დაჭრილია).

## ცეცხლი ქართულ თეატრში



მარცხენა მხარის დერეფანი თავ.-აზნაურობის ქარვასლაში სადაც წერა-კითხვის საზოგადოების ორი საწყობი სულ დაიწვა.

# მოჯალაბე

### ისტორიული მოთხრობა.

(შემდეგი *)

თავადი კოწია გერიამ იმავე დღეს გაიგო ეს ამბავი, მაგრამ გაიგო არა ისე, როგორც ნამდვილად იყო:

—„დავითი ჩაუგდიათ ხელში რუსებს და იმდენი უცემიათ, იმდენი უცემიათ, რომ მის მორჩენას არავინ ელისო; შემდეგ ღორივით წაუთრევიათ და ჩაუგდიათ საპყრობილეში... მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ საპყრობილეც სწორეთ საკადრისი ჰქონიათ ი მამაცხონებულებს: ბნელი-ბნელი, თურმე, როგორც ჯოჯოხეთი, შიგ გველ-ბაყაყით არის სავსეო.“ —მოუტანა ამბავი კოწიას ერთმა ენაჭარტალა და ცრუ აზნაურმა, რომელიც თან რილაცის სათხოვნელად მისულიყო.

—„ჰი, მე გახლავარ ბიჭი! განა არ იცოდი, შე მუტრუკო, რომ თავად კოწია გერიასთან ჭიდაობა ხეირს არ დაგაყრიდა! მობრძანდი ეხლა და დატკბი ჩემს მოახლესთან ხუნტრუცით!.. ჯერ სადა ხარ? ის უნდა იკითხო, რომ ხვალ-ზეგ კისერში თაქუნით წაგათრევენ ქუთაისში, სულს ჯერ იქ ამოგხდიან და მერე ისეთ ადგილს გაგისტუმრებენ საიდანაც შენი ოხერი თავი არ დაუბრუნდეს შენს პატრონს... მაგრამ ეს არ ეყოფა შენისთანა ტარიელს! ჯავრი ნუ გაქ! რასაც იქ რუსი დაგაკლებს, იმას მე აქ მოგითავებ: ბოლოკივით ამოგითხრი ი შენ ქეციან ოჯახს, რომ შენი სახსენებელიც არ დარჩეს დედამიწაზეო“, — ალტაცებით წამოიძახა თავადმა და შეათამაშა მხრები. ამისშემდეგ, კოწიამ სიამოვნებით დააკმაყოფილა მთხოვნელი აზნაური და საჩქაროდ დაიბარა ერთი თავისი ენატანია ყმა, მოხერხებულად აუწერა აზნაურის მოტანილი ამბავი და უბრძანა იმავე საღამოს წასულიყო დავითის სახლში, მიეტანა იმის ოჯახისთვის ეს ამბავი და დაემწუხრებინა დედაკაცები...

მოულოდნელმა ამბავმა ზარი დასცა დავითის ოჯახს... მაგრამ, თითქო წინ და წინ ყოფილიყვნენ მომზადებულნ, მაკო და ტასია, გმირულად შეხვდნენ გულსაკლავ ამბავს.

— ღმერთი მოწყალეა, შვილო,—უთხრა მოციქულს მაკომ,— ვმადლობ მის მოწყალებას! მის განაჩენს კაცი ვერ გაექცევა, იმის ბოძებული ავიც კარგია... როცა იქნება გაიგებენ ჩემი დავითის სიმართლეს... ქურდობისა და ავკაცობისათვის ხომ არ დაემართა, ქვეყნისათვის დაემართა და ქვეყნისათვისაც რაც დაემართება, ყველაფრისათვის მადლობას შევწირავ უფალს!

— შენ საიდან გაიგე ეს ამბავი?—გულდამშვიდებით ჰკითხა ტასიამ ამბის მომტან გლეხს, რომელსაც, თავის მელური ხასიათით, კარგად იცნობდა კოწიას სასახლეში.

— იქიდან მოსული კაცი მელაპარაკა... ვაი-ვაი-ვაი! ჩემი მტერი ჩავარდა რუსის ხელში! არ გაიკითხავსო თურმე კაცს...

— ამას ტყუილს ამბობ.—გააწყვეტინა ტასიამ სიტყვა,—ჩემიანი[1] სულ იმას ამბობდა, რუსი ათასწილად სჯობიან ჩვენს ბატონებსო; სამართალი აქვს და ხვთიანიაო.

— თაფლი შენს პირს, ასე რო იქნებოდეს, მაგრამ ბატონები სულ იმას ამბობენ ავი ხალხიაო; ცოტა ხანს მოგეფერებათ და მერე შავს დღეს დაგაყენებთო.

— ტყუილი უთქვამთ. ის უნდათ ახლა რუსი შეაძულონ ხალხს და იმას კი არ ამბობენ, რომ რუსი და ქრისტიანი კი არა, თათარი სჯობია ჩვენს ბატონებს, თათარი!

— თათარსაც დაეკარგა გზა და კვალი და რუსსაც!.. დავითი გადარჩებოდეს თორემ ან ერთი რად მინდა, ან მეორე.

— ან იმის დარდი რად გაქ? უმჯობესია ყველამ თავის-თავზე იდარდოს და უფრო იმან, ვინც ბატონის წინ მელობს და ცრუობს!..

— აგერ, შვილო, აგერ! იქით მოუარე—იქით ი მგლის საჭმელ ღორს. სულ მოჩიჩქნა, სულ გაგვიფუჭა ეზო—სულ!—მიაძახა მაკომ რძალს და გააწყვეტინა სიტყვა, როცა შეატყო, რომ შორს შეტოპა, და—თითონაც ღორს დაედევნა.

ტასიამაც იგრძნო შეცდომა, რომ გული გადაუშალა არა წმიდას და ღორს გამოედევნა. შეუერთდა დედამთილს ეზოს კუთხეში, სადაც ღორი გაძვრა და დაუწყო სწორება ღობეს.

დაუპატიჟებელი სტუმარი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელი გულის ამღვრევი ამბავი, კარგა ხანს იდგა იმავე ადგილზე, მაგრამ რა შეატყო, რომ მასპინძელმა ზურგი შეაქცია, მწარედ „აკრაჭუნა კბილები და გზას გაუდგა... შელამებული იყო, როცა ბატონს წარუდგა და მოახსენა თავისი თავგადასავალი:

— დავითი არაფერი ყოფილა, ბატონო, სულ არაფერი! რაც ყოფილან ისინი ყოფილან ის ქალები!..

— რა იყო, ბიჭო?—უბრძანა კოწიამ.

—„დავითს ვინ დაიჭერდაო, ვინ გაუბედავდაო, ვინ გეგონა-

[1]) ალაგ-ალაგ ახლაც სირცხვილად მიაჩნიათ ოდიშში ქალებს ქმრის პირდაპირი სახელის თქმა. ამიტომ ხმარობენ: ჩემიანი, ჩემი მამა-კაცი და სხ.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 17.

## ცეცხლი ქართულ თეატრში



მარცხენა მხრის დერეფანი, სადაც გაჩნდა ცეცხლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო ომი



ფრანგები ტყვიის მფრქვეველებით სცდილობენ გერმანელების მიერ ნავებ-ზე გადადებულ ხიდის დანგრევას.

თო? ვერ გაიგეთ, რომ დავითი თავადთან თავადია, აზნაურთან აზნაური და გლეხთან გლეხიო! თქვენ გიჭირთ, თქვე საწყლებო, რომ ტყავს გაძრობს ბატონი, თორემ დავითს რა უჭირსო! კიდევ ვერ იცანით რაც კაცია დავითიო! ქვეყანა გადააბრუნაო, მისმა მოყვანილმა რუსმა ბატონებს წელი მოსწყვიტაო... კოწიაც ძაან იმუქრებოდაო, მაგრამ დაესხა“...

— რა დაესხაო, ბიჭო, რა?—შეჰყვირა გაბრაზებულმა კოწიამ, როცა ბიჭმა სიტყვა შეაჩერა.

ბიჭი გაჩუმდა, დამნაშავესავით თავი დაღუნა.

— მეტი რა თქვეს, ბიჭო, მეტი?—მრისხანედვე ჩასძახა ყმას აღელვებულმა თავადმა.

— ბევრი თქვეს, ბატონო, ბევრი... სულ შენს გინებაშ იყვნენ,—წამოროშა ყმამ და ისევ ჩაიგდო ენა.

— იცი რა გითხრა!—კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, ხმა დაშვებით, უბრძანა აღელვებულმა კოწიამ ყმას, რომელსაც ზარმაცი თვალები დაეჭყიტა და უაზროთ შესცქეროდა ბატონს,—თუ კაი ახალუხი გინდა, გაიქეცი ამალამ და გადაბუგე, სულერთიანად გადაუწვი ყველაფერი ი ქაჯებს... მადლია, ჭკუას ისწავლიან.

— თუ შენი ბრძანება იქნება, შენი რისხვა მქონდეს, თუ ეხლავე არ გავიქცე და ნაცრად არ უქციო ყველაფერი ი მართლა ქაჯებს. მერე გაიგებენ ვინც არიან ი კუდიანები!..

— ჰო და ასე! თუ კაი ამბავს მომიტან, შენი საჩუქარი მე ვიცი,—უბრძანა კოწიამ ყმას, რომელიც ხანდაუზმელად გაეხვია ღამის სიბნელეში.

როცა კოწიას სასახლეში ასეთი საქმე სწყდებოდა, დავითის ოჯახში მწარე ცრემლს აფრქვევდნენ დამწუხრებულნი მაკო და ტასია... მართალია, ენატანია ყმის წინაშე მათ არაფრად არ ჩააგდეს მომხდარი უბედურება, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მტერი არ გაეხარებინათ; ნამდვილად კი, გულში ცეცხლი აენთოთ... დიდ ხანს იტირეს იმწუხრეს, ივაგლახეს; ბოლოს ანუგეშეს ერთი-მეორე და გადასწყვიტეს; დილა-ადრიან წასულიყვნენ დავითის სანახავად და დამზადებული საჭმელიც წაეღოთ. მზადებასაც შეუდგნენ: მაკომ საჩქაროდ დაიჭირა ორი ცედალი და გაარბენინა მეზობლისას დასაკლავად, ტასიამ სხვენიდან ჩამოიტანა გამჭვარტლული და თავგადატეხილი დოქი, რომელშიაც ცოტა ღომი ჰქონდა შენახული, მოაპირქვავა გობზე და დაუწყო ღომის მარცვლებს ჩხრეკა და წმენდა... ეს რომ მორჩა, ამოუჯდა მაკოს, რომელიც საჩქაროდვე დაბრუნდა და ორივემ დაუწყეს ქათმებს ბრტყვნა... კარგა ხანს დარჩნენ კერასთან და ბოლოს, ნახევრად ცრემლით შეზავებული საჭმელიც მზად იყო. ჩააწყვეს კალათში, იქვე ჩასდგეს დოქით ღვინოც და კაჩხაზე დაჰკიდეს, რომ სისხამ დილაზე წამომხტარიყვნენ და გაექანებინათ სენაკში, სადაც ეგულებოდათ ნაცემ-ნატანჯი დავითი; ჩააქრეს ცეცხლიც და მიეგდ-მოეგდნენ ჯოხებზე გამაგრებულ ცარიელ ფიცარზე დასაძინებლად, მაგრამ სად იყო ძილი! ახლაც დავითი ელანდებოდათ თვალწინ, წამდაუწუმ მხოლოდ მაზე ფიქრობდნენ, სულ მის გარშემო ტრიალებდნენ და ძილი აზრადაც არ მოსდიოდათ, უცებ სახლის სახურავმა ტკლაცუნი მოიღო და ცოტა ხნის შემდეგ ალმა სახლშიაც შეანათა.

— ვინ ხართ გვიშველეთ, ვიწვით!—იწივლა მაკომ და ასეთივე მწარე კივილი მოისმა ტასიასგანაც.

სახლი იწვოდა და მშველელი არავინ იყო. იწვოდა აგრეთვე ბეღელი და სასიმინდეც კივილზე მეზობლები შეიყარნენ, მაგრამ გვიან იყო. გაძლიერებულმა ცეცხლმა ერთბაშად ჩანთქა დავითის ავლა-დიდება და სარჩო-საბადებელი.

აქა-იქ, აგზნებული ცეცხლის გარშემო, უსაქმო ხალხი ბუზივით ირეოდა: გადადიოდა ერთიდან მეორე ადგილზე, მეორიდან მესამეზე, იქიდან ისევ პირველზე და საზოგადოდ ყოველგან იდგა არეულდარეული ხმაურობა და ზუზუნი, რაშიაც იხატებოდა მწარე ნაღველი და მწუხარება დაკარგულ ოჯახზე... მაგრამ ერთგან კი სულ სხვანაირი მსჯელობა გაემართათ:

— დალოცვილი! ქვეყანა მტრად გადამეკიდა: ამას ეცა, იმას ეცა; თავადი არაფრად ჩააგდო და აზნაური, ბატონი და ყმა; ქვეყანა აწეწა დ არია; მაშრა დაემართებოდა?!—გულცივად სთქვა ერთმა შუახნის ქოსა გლეხმა და გრილი თვალები დააცეცა მსმენელთ, თითქო ეკითხებაო:—თქვენ რას ფიქრობთ მეზობლებო, ხომ მოგეწონათ ჩემი აზრიო?

— მართალია-მართალი!—უცბად დაემოწმა მეორე.—„ჯინჭველას ფთები რო გამოესხმება, ღმერთიც მაშინ გაუწყრებაო“,—რომ იტყვიან, ის დაემართა საცოდავს! სად ჩვენი კაცი და სად ბატონებთან ურჩობა!.. ეურჩე, თუ გიყვარდე!... ამოგთხრის, ამოგწყვეტს და არც ამას დაგაჯერებს! უყურე კიდე რა დაემართოს დავითს!

— ყოველთვის მოგვერევა ძმაო, ყოველთვის!—დაასკვნა მესამემ,—ბატონ-ყმობა ღმერთს გაუჩენია და...

— ღმერთი ისე აგაშენებს, შენ რო რამე იცი!—სიტყვის დათავებამდის მიაძახა ერთმა ახალგაზრდა გლეხმა რომელსაც სამივეს აზრი მოესმინა და მოთმინება დაეკარგა.—უკეთესი არაა შე საცოდავო ის სთქვა, რომ ღმერთს შენთვის კატის სისხლიც არ მოუციაკატის! კატას რომ კნუტი წაართვა, შემოგკნავლებს მაინც და შენ თვრამეტი წლის შვილი წაგართვა ბატონმა, თათარს მიჰყიდა სტამბოლის თოფში და არაფერი გითქვამს!.. ამისთანა ჭია გაერევი ხალხში და თითქო იცოდე რამე იძახი:—„ბატონ-ყმობა ღმერთმა გააჩინაო“.—ის გინდა, რომ სუყველა შენისთანა ჭია იყოს!

— შენ რა გეწყინა?—ახირებულად ჰკითხა ახალგაზრდას ქოსამ.

— რა მეწყინა? ის მეწყინა, რომ თქვენი გულის მოგება ქრისტიანს არ შეუძლიან! ი კაცმა ქვეყანას თავი შესწირა, კაცს არ გაუგონია იმისთანა საქმე ქნა და თქვენ კიდე უმადური ხართ მისი.

— რა კაი ქნა მერე, თუ იცი?—ისევ ახირებულად და თან მწყრალადაც იკითხა ქოსამ.

— ის კაი, რომ შენისთანა ვირი მონათლა!—გულიანად უპასუხა ბრაზმორეულმა ახალგაზრდამ.

— ვირიც ხარ და ვირის... „შვილიც“,—უნდოდა ეთქვა ქოსას, მაგრამ სანამ უკანასკნელ სიტყვას იტყოდა, მის სახეზე ლაწანი მოიღო ახალგაზრდას ძლიერმა მუშტმა. ქოსას თვალები დაუბნელდა და წაბარბაცდა, მაგრამ მალე მოვიდა გონს და, ის იყო, ამართა ჯოხი, მაგრამ ის შეიპყრეს და მოაშორეს ბრბოს.

გათენდა კიდეც. ხალხი დაიშალა. დარჩა რამდენიმე ახლობელი მეზობელთაგანი, რომელთაც ანუგეშეს ცის ქვეშ დარჩენილი და გულჩათუთქული მაკო და ტასია და თავისთან წაიყვანეს.

## XIII

იმ დღეს, რომელსაც ეკუთვნის ჩემი მოთხრობა, თავადი კოწია გერია უკან ხელებ შეწყობილი და თავჩაქინდრული, ახალოხს ამარა, მთელი თავის ამაყური სიმძიმით დიდხანს სეირნობდა თავის სახლის გრძელს და განიერს აივანზე. ის თვალს არ აშორებდა იატაკს, თითქო დაკარგულ-რამეს ეძებსო და თუ ხანდახან, ცხვირის ამაღლებით და კისრის მოგრეხით, გაიხედ-გამოიხედავდა თვალგადაუწვდენელ ეზოს სივრცეში, მასშიაც კი იხატებოდა ცამდე ამაღლებული სიამაყე... იმ წამს ის გმირი იყო, გმირი ძლევამოსილი, დიდებით დაბრუნებული ბრძოლის ველიდან...

—„ჰი, დაგტოვე თუ არა ცის ქვეშ? კაი ამბავი მოგივა ციხეში!.. მაგრამ ჯერ სადა ხარ! ეს როდი ეყოფა შენისთანა ვაჟკაცს! შენ ეხლა უნდა მიყურო—ახლა: ისე მოგიშხამავ სიცოცხლეს, რომ შენივე კბილებით იგლეჯდე ხორცს!.. ასე იცის ჩემისთანა თავადებთან ჭიდაობამ... ნურას უკაცრავად!“—სიამით ფიქრობდა ის და თან და თან შორდებოდა გულიდან ჟანგი... იმ დღეს თავადმა სადილიც მადიანად მიირთვა, მერე კარგა ხანს იდარბაისლა ქალბატონთან და შემდეგ დაწვა დასაძინებლად. ქალბატონიც დაწვა, მასაც უნდოდა ძილი, მაგრამ რა-რომ ის არ მოევლინა, ერთხანს ათვალიერა კედელზე ჩამწკრივებული ქმრის იარაღი და რა ისიც მოსწყინდა, ადგა და გასწია სამოახლოსკენ. სამოახლოში ყმებსა და მოახლე ქალებს მოეყარათ თავი: ზოგი იჯდა, ზოგი ტომარასავით მიგდებულიყო კუ-

თხეში, ზოგი ნესტიან მიწაზე გაგორებულიყო და სხვაც აქა-იქ მიყრილ-მოყრილიყო და სრულიად დარწმუნებულთ, რომ ბატონებს ეძინათ, გულმოსაფხანი კამათი გაემართათ:

— მართლა, როდის იქნები, მაკა, ი ბატონ-ყმობის გაყრა იქნებაო რომ ამბობდნენ? ხო მალე იქნება-მალე!—ხუმრობით შეეკითხა ერთი ახალგაზრდა ყმა მოხუც მოახლე ქალს.

— მეტი არ იხარა იმათმა თავმა! როდის იქნება და თავის დღეში არ იქნება—თავის დღეში!—ნაღვლიან კილოთი მიუგო მაკამ.

— როგორ არ იქნება? ის კი არა, მალე იქნებაო, სულ მალე!

— ენა დაიმოკლე, ბიჭო—შენ, ენა; რა შენი საქმეა მაგაზე ლაპარაკი! შენი საქმე ქვაბი და გობია, იმას უგდე ყური,—წრფელის გულით უთხრა ახალგაზრდას ხანში შესულმა ყმამ.

— ქვაბიც ოხრად დარჩა ბატონს და გობიც!.. შე საცოდაო, ი ბატონების სიტყვა რო გაკერია ენაზე, უტუს რატომ არ უგდე ყური—უტუს! იმის სიტყვა რო მოგესმინა, მერე არ იტყოდი ასე...

— უტუ აცოცხლა ღმერთმა; იმას რო დასცლოდა, ვიცი, რაც იქნებოდა, მაგრამ არ დააცლის ღმერთი დედოფალს,—მწუხარებით სთქვა მეორე ჭაღარა შერთულმა ყმამ და ნაღვლიანად ჩააქნია თავი.

— ჰო და არც დააცალა! რუს ხემწიფეს დაუბარებია თურმე, რომ ხელი მოაწერიოს, ბატონი თავისთვინ იყოს და ყმა თავისთვინო,—დაუმატა პირველმა ახალგაზრდამ.

— ბიჭო, ენა დაიმოკლე მეთქი, გეუბნები შენ დღეს,—კიდევ ერთგულობით ურჩია ახალგაზრდას ხანში შესულმა ყმამ.

— იცი, არც ისე ტყვილი ყოფილა ბატონ-ყმობის გაყრის ამბავი!—გაერია ლაპარაკში მეორე ახალგაზრდა ყმა,—ვაჟბატონი ეუბნებოდა წუხელის ქალბატონს:—„ე დედოფალი რო წაიყვანეს, კარგი ნიშანი არ არისო! რუსი ემტერება ოდიშის თავად-აზნაურებს და მართლა არ მოხდეს საარაკო საქმე და ყმები არ წაგვართვანო“.

— ჰა-ა-ა-ა-ი, საყვარელო! — ერთხმად ახრიალდა ყმები,—ღმერთო, გაუთენე ი დღე ჩვენ კაცს.

— მერე შენ საიდან გაიგონე ეს?—ჰკითხა მეორე ახალგაზრდას ხანში შესულმა ყმამ.

— წუხელის ბატონმა არ დაიბარა! კარს რო მივადექი, ეს გავიგონე და მაშინვე უკან გამოვიქეცი... მერე ვეახელი, კაი ხნის მერე!

— რა ყოფილა ე კაცი, რო არაფერი სჯერა!—წამოიძახა ისევ პირველმა ახალგაზრდამ და თვალი-თვალში გაუყარა ხანში შესულ ყმას,—აბა დედოფალს ტყუილად დაიბარებდნენ? გადაწყვეტილია საქმე—გადაწყვეტილი!.. ამას უტუც კი ამბობდა, რომ ცოტა ხნის მერე ყმები არ ეყოლებათ ბატონებსო... ის ღენერალს ახლდა და იმისგან გაიგებდა ამ ამბავს.

— ენას ნუ იღალავ, ბიძია, ენას; თავს მოიკლავენ და მაინც არ გაუშვებენ ბატონები ყმებს,—ხმის კანკალით, ძლივს წარმოსთქვა ერთმა ღრმად მოხუცმა ყმამ.

— იგინი დიახაც არ გაუშვებენ, მაგრამ რო უბრძანებენ, უნდა გაუშვან!.. ჯერ დავით გიდელიამ თვალები დასთხარა ბატონს, თორემ რუს ხემწიფემ თუ უბრძანა, კაი შვილია და ნუ გამიშვებს!.. მაშინ უნდა მიყუროო შენ, როცა ამოუჯდები გვერდში ბატონს და „კუჩხა ბედინერას“ რო დაუწყებ! თანაც დაუძახებ:—აბა, კოწია, კაი ბანი მითხარი მეთქი!—მხიარულად წამოიძახა პირველმა ახალგაზრდამ.

— ბიჭო, ხეირი არ დაგეყრება შენ დღეს!—უთხრა ახალგაზრდას ხანში შესულმა ყმამ,—იმან თუ გაგათამამა, რომ უტუს დაჰყვებოდი ი ოციოდე დღე... თორემ...

— თორემ, რას მიზამს? მეც ერთი დავითივით ბიჭობას გამოვიჩენ და მაშინ ვნახავ რასაც მიზამს!

— დავითს რა ხეირი დააყარა, მერე? სახლი გადუწვეს და კარი, თითონაც ისე გაულახავთ, რომ სული არ შერჩებაო...

— მართლა, ღმერთმა კაი მოგაგონოს! საწყალი ტასია გულგახეთქილი მირბოდა ამ დილას თავის მამისას. ისე ტიროდა—ისე, რომ მტერსაც შეეცოდებოდა საცოდავი... დაღუპოს ღმერთმა იმის დამღუპავი, დაღუპოს მთავარ-ანგელოზმა ვინც ის დაღუპა!—თანაგრძნობით სთქვა მეორე ახალგაზრდამ.

— დასწყევლოს, დასწყევლოს; ქრისტემ დასწყევლოს იმისი ცოლ-შვილი! ნეტა ვის გაუწყრა ღმერთი, ვინ ჩადგა იმის ცოდვაში!—გაისმა საერთო ხმა.

— ვის გაუწყრა ღმერთი?!.. ვინ იქნებოდა არ იცით?..

ვერ მოათავა პირველმა ახალგაზრდამ სიტყვა, რომ სამოახლოში ფეხი შესდგა ქალბატონმა, რომელიც დაფარული მოწმე ყოფილიყო საიდუმლო მსჯელობისა და როცა ყმა მტკივანს ადგილს შეეხო, დაეკარგა მოთმინება და მთელი თავის მრისხანებით მოევლინა თავზარდაცემულ ყმებს! მას სახეზე ალმური ასდიოდა და თვალები შხამით ავსებოდა.

— ეს რა მესმის!... ეს რა მესმის!.. და მერე ვისგან-ვისგან!—დაჰკივლა ქალბატონმა და ჯოხი მოუქნია. მაგრამ, ის უცებ გავარდა კარში და ჯოხმა ხეთქა მოილო ფიცარზე, სადაც ყმა იჯდა. პირველის მაგალითს მიჰბაძეს სხვებმაც და ყველა ერთად, თითქო მიწამ ჩანთქაო, ერთ წამს უჩინარი შეიქნა. დარჩა სამოახლოში მხოლოდ მოხუცი მაკა, რომელსაც გაქცევის თავი არ ჰქონდა და კუთხეში მიმალულიყო.

— შენ?! შენ რაღას ბრძანებდი, შე... შე სულკატიანო?! ჰო, თქვი-თქვი, თქვი მეთქი მალე!—მიუბრუნდა გაბრაზებული ქალბატონი მაკას და ჯოხი ცხვირთან მიუტანა.

— მე... მე... ბატ... ქალბატ... ხმის კანკალით დაიწყო მაკამ, მაგრამ არ აცალა თავის მართლება ქალბატონმა, დაამგერა მკერდში ჯოხის წვერი და ქოთანივით მიანარცხა კუთხეში.

ქალბატონი სიცხე ნაკრავივით აბრიალებდა თვალებს და ცოფიანივით დარბოდა, რომ ერთი ყმათაგანი მაინც მოეგდო ხელში და სასტიკად დაესაჯა, მაგრამ ხელთ ვერავინ იგდო და ქლოშინ-ქლოშინით გასწია ქმრის ოთახისაკენ და კოწიას ერთი-ორად უამბო მისი აღელვების ამბავი.

კოწიამ ყურადღებით მოისმინა ნაამბობი და აიმრიზა. ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა.

— ა—ბატონო, შენი თაოსნობის წყალობა!—ცოტა თავშეკავებით დაიღრიალა კოწიამ და უფრო შეაბრიალა თვალები.

— მე რაო? ჩემი რა ბრალია? მე ხომ არ მითქვამს...

— შენ, შენ ნუ მომიკვდები!—წყენით გააწყვეტინა სიტყვა კოწიამ,—როცა მე მინდოდა გიდელია დამესაჯა, შენ გამოესარჩლე, ახლა?—„გიდელიამ თვალი დასთხარა თავად კოწია გერიასო! „მეც ერთი გიდელიასთანა ბიჭობას გამოვიჩენო“ ამას ჰბედავს ვიღაც... ვიღაც ბაყაყი!.. ბაყაყის შვილი!..

ი ქალბატონიც აქ ბრძანდებაო?

— დიახ, ამ დილა მოთრეულა.

— უბრძანე ბიჭებს: ეხლავე მოათრიონ აქა... უნდა ვუჩვენო ამ დათვებს, რაც თავადია კოწია გერია!—ბრძანა კოწიამ და ბრაზით ავსებული თვალები გააყოლა ბრძანების გასაცემად მიმავალ ქალბატონს.

— საღამო ჟამი იყო, როცა ორს მკლავ მაგარ—ბიჭს მოჰყავდა სასახლეში გაფითრებული ტასია. მათ უკან მოსდევდა სიკო და გულსაწვავად მოჰყვიროდა:—„კაცო, რა გინდათ ჩემგან, რომ არ მაყენებთ, ტასია ხან შეჩერდებოდა გზაზე და თვალები გაურეტიანდებოდა, ხან მუხლები აუკანკალდებოდა, მოერეოდა სისუსტე და ჩაეშვებოდა მიწაზე, მაგრამ მრისხანე ბატონის შიშით ბიჭები, უცბად წამოაყენებდნენ და გზას გაუყენებდნენ...

სასახლეც გამოჩნდა. კოწიაც გამობრძანდა.

— ეს რად გინდოდათ, ე ძაღლი?—შეჰყვირა ბიჭებს კოწიამ და აჩვენა სიკოზე.

— თავისი ნებით წამოვიდა ბატონო.

— თავისი ნებით მოვიდა და შეაგდეთ თავლაში,—მრისხანედ ბრძანა კოწიამ.

სიკო იმისთვის ჯსდევნებოდა ტასიას, რომ გაეგო თუ რისთვის მიათრევდნენ იმას ბატონთან მაგრამ საჩქაროდ თავლაში უკრეს თავი.

კოწიას ბრძანებით სასახლის ყმებმა თავი მოიყარეს.

— გააწვინეთ ახლა ეს კახპა და დაარტყით ოცდა ათი როზგი,—იყო მესამე ბრძანება თავადისა.

ყმებს შიშის ჟრუანტელმა დაუარა. ქალის გაროზგვა არა თუ არ ენახათ, არც კი გაეგონათ. საზოგადო აზრით ეს მეტის-მეტი დამცირება იყო, რაც არც ერთ მაღალწოდების წარმომადგენელთაგანს არ უნებებია და ახლა მათ არა თუ უნდა ენახათ ეს საზარელი სურათი, თვით მათ უნდა ეხმარათ როზგი დედათა სქესის დასასჯელად. ყმები გაშეშებულიყვნენ.

— მოჰკიდეთ მეთქი ხელი!—დაიღრიალა კოწიამ და სისხლიანი თვალები მრისხანედ დაუბრიალა საცოდავად მოღრეცილ-მოკაკულ ყმებსა... ყმები არ ინძრეოდნენ გარისხებული თავადი ეცა ერთ გლეხს და ისე მაგრად ჰკრა ზურგში ხელი, რომ წაბარბაცდა, გაიშხლართა მიწაზე და ცხვირიდან სისხლი წასქდა. მეორეს სილა გააწნა და ჯირკვივით დასცა. სხვები შიშის ზარმა აიტანა... მისცვივდნენ ცოცხალ-მკვდარ ტასიას, შეითრიეს სამოახლოში, დააწვინეს და ოცდა ათი როზგი დაარტყეს... ტასია ოდნავ სუნთქავდა. გულკეთილმა მაკამ ტუჩები მოუბანა, რომელიც ტასიას კბილებით დაეღრღნა.

— გაათრიეთ ეხლა ე საძაგელი და ხვალისთვის მოამზადეთ როზგი ი მუტრუკისთვის, რომელსაც უნდა გიდელიასგან ისწავლოს ვაჟკაცობა, იცოდეთ, თქვე პირუტყვებო, ასეთი როზგები გელით სუყველას!—ბრძანა დაკმაყოფილებულმა კოწიამ და სასახლისკენ გასწია.

საცოდავი ტასია დააწვინეს ჩელტზე და თავის სახლში წაიღეს. სიკოც თან გაიყოლეს.

(დასასრული იქნება).

კირილე წუთისოფლელი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.